

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №
2019 წლის ქ. ბათუმი

„თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების
გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“
თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის
№50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1.

„თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 24/09/2012, სარეგისტრაციო კოდი: 330090020.35.132.016140) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების მე-6 მუხლის 6.9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6.9. საკურორტო-სარეკრეაციო ზონა - 2 (სრზ-2):

ზონის ტერიტორიისათვის უძრავი ქონების (ობიექტების) დასაშვები სახეობები:

- პარკები;
- ბაღები;
- სკვერები;
- ბულვარები;
- დეკორატიული გაფორმების ობიექტები;
- საერთო სარგებლობის ღია მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ავტოსადგომები;
- მცირე არქიტექტურული ფორმები (საპარკო პავილიონები, როტონდები და სხვა);
- სპორტული მოედნები;
- პირველადი სამედიცინო დახმარების პუნქტები;
- სავაჭრო პავილიონები, კიოსკები;
- ატრაქციონები;
- საწყალოსნო ობიექტები (ნავმისადგომები, ელინგები);
- საზოგადოებრივი ტუალეტები;
- სამაყურებლო ობიექტები (ესტრადები, ამფითეატრები, საგამოფენო დარბაზები, კინოთეატრები);
- სპორტულ-ფიზკულტურული ნაგებობები (საწვრთნელი ბაზები, სტადიონები, სპორტდარბაზები, ღია და დახურული საცურაო აუზები);
- ზოოპარკები;
- კაფეები, რესტორნები;
- საეკლესიო ობიექტები;
- სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აგარაკები;
- დასვენების ბანაკები და ბაზები;
- დასასვენებელი სახლები;
- სანატორიუმები;
- სასტუმროები;
- მოხუცთა ინტერნატები;
- საავადმყოფოები;

- სამეურნეო ობიექტები (ადმინისტრაციის შენობები; საყოფაცხოვრებო სათავსები, სახელოსნოები, ცალკე მდგომი მრავალსართულიანი ავტოსადგომები);
- ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები (არაუმეტეს 3 სართულისა და 12 მეტრი სიმაღლისა).“.

2. დადგენილების მე-9 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. დაუშვებელია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტის გაზრდა კონკრეტულ ფუნქციურ ზონებში არსებულ სამშენებლო მიწის ნაკვეთებზე, რომელთა ოდენობა არ აღემატება 600 კვ.მ-ს, ასევე, იმ მიწის ნაკვეთებზე, რომელთა საერთო ფართი შეადგენს 600-1200 კვ.მ.-ს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტი შესაძლებელია გაიზარდოს იმ ზონისათვის დადგენილი ოდენობის 50 %-ით, ხოლო იმ მიწის ნაკვეთებისათვის, რომელთა საერთო ფართი შეადგენს 1200-1800 კვ.მ-ს - შესაძლებელია გაიზარდოს იმ ზონისათვის დადგენილი ოდენობის 75 %-ით; 1800-2500 კვ.მ. - იმ ზონისათვის დადგენილი 100%-ით კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

6. დაუშვებელია ხელმეორედ იქნეს განხილული საკითხი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ-2-ის გაზრდის თაობაზე იმავე მიწის ნაკვეთზე, რომელზედაც უკვე განხორციელდა მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ-2-ის გაზრდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხდება სამშენებლო მიწის ნაკვეთის საერთო ფართის 40 %-ით ან/და მეტი ოდენობით გაზრდა“.

3. დადგენილების მე-15¹ მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. განისაზღვროს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისათვის ავტომანქანების პარკირებისათვის საზოგადოებრივ საქმიან ზონაში 150 კვ.მ-ზე განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ-2-ის საანგარიშო ფართზე არანაკლებ 1 ავტომანქანა, ხოლო საცხოვრებელ ზონაში 180 კვ.მ-ზე განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ-2-ის საანგარიშო ფართზე არანაკლებ 1 ავტომანქანა, ასევე, სასტუმრო დანიშნულების ობიექტებისათვის (მათ შორის მცირე დროით დამკავებელთათვის) ნებისმიერ ფუნქციურ ზონაში 200 კვ.მ-ზე განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ-2-ის საანგარიშო ფართზე - არანაკლებ 1 ავტომანქანა.“

მუხლი 2.

ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტი არ ვრცელდება განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტის გაზრდის თაობაზე ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებაზე, რომელთან დაკავშირებითაც გადაწყვეტილება არ არის მიღებული.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.